



Enhancing Gender Equality in Georgia



გამოცემა მომზადდა პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გაეროს სააგენტოების: გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women); გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოში (UNFPA) მიერ. პროგრამის განხორციელებას მხარს უჭერს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (Sida).

ამ პუბლიკაციაში გამოქვეყნებული მოსაზრებები და შეხედულებები არ წარმოადგენს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women); გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ოფიციალურ პოზიციას.

სქესობრივი მომნიჭება

რა არის სქესობრივი მომნიჭება

სღამიანის ორგანიზმი მთელი სიცოცხლის განმავლობაში იცვლება. ეს ცვლილებები განსაკუთრებით შესამჩნევია სქესობრივი მომნიჭების პერიოდში, როცა გოგონა ან ვაჟი მონიჭდობისკენ პირველ ნაბიჯებს დგამს. გოგონებს სქესობრივი მომნიჭება ძირითადად ბიჭებზე ადრე ეწყებათ (9-13 წლის ასაკში), ვაჟისთვის კი ნორმალურია მისი 11-14 წლის ასაკში დაწყება.

უნდა აღინიშნოს, რომ სქესობრივი მომნიშვნის დასაწყისი, ინტენსივობა და დასასრული ინდივიდუალურია. მკაცრად ჩამოყალიბებული ასაკობრივი ჩარჩოები არ არსებობს. თუმცა, თუ იგი გოგონებში 8 წლამდე და ვაჟებში 10 წლამდე დაიწყო, ან 14 წელს გადასცდა, აუცილებლად მიმართეთ ექიმ-სპეციალისტს.

10-დან 20 წლამდე ასაკის ინდივიდები მოზარდებად ითვლებიან. მოზარდი უკვე აღარ არის ბავშვი, მაგრამ არც მოზრდილია. მოზარდობის პერიოდს ცვლილებათა მთელი წყება ახასიათებს – გარდა გარეგნობისა, იცვლება მოზარდის მსოფლმხედველობა, მისი ფსიქიკა, ემოციური მხარე.

მას თანადგომა სჭირდება



ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებების გამო, მოზარდიც და მისი მშობელიც გარკვეული პრობლემების წინაშე დგება. კერძოდ, თავს იჩენს:

- ადვილად გაღიზიანებადობა;
- გუნება-განწყობილების მოულოდნელი ცვლილებები;
- განცდა, რომ ახლობლებს მისი არ ესმით;
- უხერხულობისა და ზოგჯერ მარტოდ ყოფნის შეგრძნება.

მოზარდი განსაკუთრებით მგრძობიარეა ყველაფრის მიმართ, რაც მის ირგვლივ ხდება, ზედმეტად ემოციურია და ხშირად შეიძლება დაუფიქრებელი გადაწყვეტილება მიიღოს.

თქვენი თანადგომა მათ ამ პერიოდში ყველაზე მეტად სჭირდებათ. უფრო ახლოს იყავით თქვენს შვილებთან. ხშირად ესაუბრეთ, მოუყევით თქვენი გამოცდილების შესახებ, იყავით მისი მეგობარი. ეცადეთ, მის მიერ გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს გაგებით მოეკიდოთ.

თანატოლების ზეგავლენა

შესანიშნავია, როდესაც მეგობარი კარგი საქციელის მაგალითს გაძლევს, როცა საერთო ინტერესები გიჩნდებათ სპორტში, მუსიკაში, როცა გეხმარება წარმატებას მიაღწიო სხვადასხვა სფეროში, თუნდაც სიყვარულში... მაგრამ მეგობარმა ასევე შეიძლება მოახდინოს უარყოფითი გავლენა, გიბიძგოს არ დაუჯერო მშობლებს, უხეშად მოეპყრო ვინმეს, დაამყარო სქესობრივი კავშირი, როდესაც არ ხარ ამისთვის მზად ან მიიღო ნარკოტიკები.

ირგვლივ უამრავი ახალგაზრდა ტრიალებს. შენ მათთან ერთად ატარებ დროს, დადიხარ სხვადასხვა თავშეყრის ადგილებში, გყავს მეგობრები, მაგრამ ზოგჯერ არ გინდა გააკეთო ის, რასაც ისინი აკეთებენ.

მეგობრისგან ხშირად გაიგებ: „მიდი! ჩვენ ყველა ვაკეთებთ ამას!“ – სანამ შენც იმავს გააკეთებ, შეჩერდი და დაფიქრდი. ღირს კი იმავს კეთება? როგორ უნდა მოიქციე, თუკი უარის თქმა გინდა?

გახსოვდეს, გარშემო უამრავი შენი თანატოლია, ვინც ლიდერს ეძებს, რათა აჰყვეს მის მიერ ნათქვამ უარს. შენ შეგიძლია იყო ეს ლიდერი!

ბევრი თანატოლი შენ მიმართ პატივისცემით განიმსჭვალება. რატომ? მათზე შთაბეჭდილებას მოახდენს ის, რომ დამოუკიდებელი პიროვნება ხარ და არა უბრალოდ ბრბოს ნაწილი. უფრო მეტიც, ამგვარი საქციელი საკუთარი თავის პატივისცემას შეგმატებს.

„როდესაც შენს პოზიციას იცავ, თითქოს საკუთარ თავს აძლევ ხმას და მართალი ხარ საკუთარ რწმენასთან, ეს კი ყოველთვის სასიამოვნოა.“

თქვი უარი



შენ გარშემო უამრავი ნარკომანი, მწვეელი თუ ალკოჰოლის მოყვარული ტრიალებს, მაგრამ სიმართლე თუ გაინტერესებს, ყველაზე ჭკვიანები ასეთ ადამიანებთან მეგობრობას ერიდებიან. რატომ? იმიტომ, რომ მათ კარგად იციან რა ზიანის მოტანა შეუძლია ნარკოტიკებს, ალკოჰოლსა თუ თამბაქოს მათი ორგანიზმისთვის. შენც იყავი ერთერთი მათგანი, უთხარი უარი მავნე ჩვევებს. ამით შენ საკუთარ ჯანმრთელობასა და მომავალს უცხადებ თანხმობას!